

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

№ 8

ინფორმაციის ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებებით გაცვლის შესახებ

ქ.თბილისი

11 დეკემბერი 2009 წელი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (შემდგომში “შემოსავლების სამსახური”) მისი უფროსის გიორგი ცხაკაიას სახით, ერთის მხრივ და სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში “ბანკი”) სნ 204378869, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გიორგი ჭილაძის სახით, მეორეს მხრივ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია საბანკო ანგარიშების გახსნის ან დახურვის, საინკასო დავალების წარდგენის, გაუნაღდებელი საინკასო დავალებების შეჩერების, გამოთხოვის, კორექტირების ელექტრონული შეტყობინებების და განაღდებული საინკასო დავალებების შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებებით გაცვლა.


მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ელექტრონული შეტყობინება (ელექტრონული საბუთი) – ქაღალდის საბუთის ელექტრონული ასლი, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის ურთიერთობის და ოპერაციათა წარმოების საფუძველს.

2. ელექტრონული ხელმოწერა – არის კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით დამუშავებული სპეციალური სისტემის (ორგანიზატორის მიერ ტირაჟირებული), კრიპტოგრაფიული ალგორითმით ელექტრონული დოკუმენტის დამუშავების შედეგად მიღებული სიმბოლოების მიმდევრობა, რომელიც ადასტურებს ელექტრონული დოკუმენტის ნამდვილობას, მთლიანობას, ხელმოწერი პირის ვინაობას.

3. ელექტრონული ხელმოწერის საჯარო გასაღები – ელექტრონული ხელმოწერის შესამოწმებელ სიმბოლოთა ზოგადად მიღებული (ცნობილი) თანმიმდევრობა.

4. ელექტრონული ხელმოწერის დამალული გასაღები – ელექტრონული ხელმოწერის გამოსამუშავებელ სიმბოლოთა თანამიმდევრობა, რომელიც იცის მხოლოდ უფლებამოსილმა პირმა.



### მუხლი 3. ზოგადი დებულებები

1. ინფორმაციის ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებებით გაცვლისას მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება ამ ხელშეკრულებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

2. სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების და სისტემებს შორის თავსებადობის უზრუნველყოფის საფუძველი უნდა იყოს ერთიანი სტანდარტები (ფორმატები, ტერმინოლოგია, ფონტები და სხვ.), რომლებმაც ერთმნიშვნელოვნად უნდა ასახონ გამოყენებული სისტემის თავისებურებები.

3. გადასახადის გადამხდელთა/ბანკის კლიენტთა რეკვიზიტების, საბანკო ანგარიშების და ბანკში წარდგენილი საინკასო დავალებების იდენტიფიცირების მიზნით, 2009 წლის 28 დეკემბრამდე, საგადასახადო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ბანკის მიერ შემოსავლების სამსახურს მიეწოდება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელთა ანგარიშების შესახებ და მხარეები უზრუნველყოფენ შესაბამისი ელექტრონული ბაზების ურთიერთშედარებას, ამ ხელშეკრულების საგნის ტესტურ რეჟიმში მოქმედებას და 2009 წლის 28 დეკემბრიდან განახორციელებენ ხელშეკრულების I მუხლით განსაზღვრულ საქმიანობას.

4. მხარეთა შორის ტესტურ რეჟიმში განხორციელებულ მოქმედებებს იურიდიული ძალა არ აქვს.


5. მხარე ხელშეკრულების ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ელექტრონული ბაზების გაცვლას და ურთიერთშედარებას ასრულებენ მათ შორის მიღება-ჩაბარების აქტით. მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ხელშეკრულების I მუხლით გასაზღვრული საქმიანობის რეალურ რეჟიმზე გადასვლის დღეს.

### მუხლი 4. ელექტრონული დოკუმენტების გაცვლის ზოგადი პრინციპები

1. მხარეები ელექტრონულ საბუთს, მისი ფორმირების შემდეგ ადასტურებენ თავისი ელექტრონული ხელმოწერით და ახდენენ მის შიფრაციას.

2. ელექტრონული დოკუმენტი ვაგზავნილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც იგი გადის გამგზავნის კონტროლის არედან და მიმღებისაგან მიღებულია შესაბამისი დასტური. კონტროლის არედან გასვლაში იგულისხმება დოკუმენტის უკან დაბრუნების, მასში ცვლილების შეტანის ან გაუქმების შეუძლებლობა.

3. ელექტრონული დოკუმენტი მიღებულად ითვლება მიმღების მხრიდან მისი მიღების ელექტრონული დასტურის მომენტიდან. ელექტრონული დოკუმენტის მიღება-გადაცემის დასტური იგზავნება დაუყოვნებლივ (სისტემის მიერ - პროგრამულ-ტექნიკური



საშუალებებით). ასეთის არ არსებობის შემთხვევაში დოკუმენტი ითვლება ადრესატისათვის როგორც არ მიღებული.

4. ელექტრონული დოკუმენტის მიღების დადასტურება ნიშნავს, რომ დადგენილია დოკუმენტის ნამდვილობის ფაქტი.

5. ელექტრონული დოკუმენტის გაგზავნისას/მიღებისას, უნდა დარჩეს ელექტრონული დოკუმენტის გაგზავნის/მიღების დასაბუთება (დასტური), რომელიც შეიძლება არსებობდეს ელექტრონული ან ქაღალდის დოკუმენტის სახით.

6. ელექტრონული დოკუმენტის გაგზავნის, მიღების წესი, პირობები და მომენტი განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი №1-ში (“შემოსავლების სამსახურისა და ბანკების ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი”).

#### მუხლი 5. ელექტრონული დოკუმენტის იურიდიული ძალა

მხარეები აღიარებენ, რომ ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებებით წარდგენილ ელექტრონულ დოკუმენტს (კერძოდ, საბანკო ანგარიშების გახსნის/დახურვის, საინკასო დავალების წარდგენის, გაუნაღდებელი საინკასო დავალებების შეჩერების, გამოთხოვის, კორექტირების, დასტურის შესახებ ელექტრონულ დოკუმენტებს) აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ, პირადი ხელმოწერით, ხოლო ბეჭდის არსებობის შემთხვევაში ასევე ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტს.

#### მუხლი 6. მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა


1. მხარეთა შორის ხელშეკრულების I მუხლით განსაზღვრული ან/და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება ელექტრონული სახით, საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. ხელშეკრულების ამ პუნქტში მითითებული ინფორმაცია მხარეებს ასევე შეუძლიათ ერთმანეთს წარუდგინონ წერილობითი ფორმით.

2. ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება ამ ხელშეკრულების დანართი №1-ის (“შემოსავლების სამსახურისა და ბანკების ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი”) შესაბამისად.

3. ელექტრონული საშუალებებით ინფორმაციის გაცვლის ფორმატს შეიმუშავებს შემოსავლების სამსახური.

#### მუხლი 7. დოკუმენტების შენახვის წესი

1. ელექტრონული ინფორმაციის შენახვისას მხარეებმა უნდა უზრუნველყონ მისი დაცვა განზრახ ან დაუდევრობით გამოწვეული დამახინჯებისაგან, გაყალბებისა და



არასანქცირებული განადგურებისაგან. მხარეებმა უნდა უზრუნველყონ სისტემისა და ინფორმაციის დაცვა არასანქცირებული წვდომისაგან.

2. ელექტრონული ინფორმაცია უნდა ინახებოდეს სისტემაში შემოსული საწყისი სახით ისეთ მატარებლებზე, რომლებიდანაც შესაძლებელი იქნება მისი გარანტირებული აღდგენა.

3. ელექტრონული ინფორმაციის შენახვის ვადა განისაზღვრება წერილობითი დოკუმენტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შენახვის ვადის ანალოგიურად.

4. ინფორმაციის შენახვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:

4.1 მასში ნებისმიერი ცვლილებების შეტანის, მათ შორის გაგზავნილი ელექტრონული დოკუმენტის მიღების ან/და მისი გაგზავნის თარიღების შეცვლის შეუძლებლობა;

4.2 შენახვის მთელი ვადის განმავლობაში მათი ნამდვილობის დადგენის შესაძლებლობა;

4.3 მხარეთა მიერ ხელმისაწვდომობა;

4.4 მისი არქივიდან ამოღების და პირისათვის დადასტურებული წერილობითი დოკუმენტის სახით წარდგენის შესაძლებლობა.

#### მუხლი 8. შემოსავლების სამსახურის უფლებები და მოვალეობები


1. შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს:

1.1 ბანკთან შეთანხმებით დანერგოს ახლად შემუშავებული პროგრამულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები.

1.2 გამონაკლის შემთხვევებში, ბანკის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, შეიტანოს გარკვეული კორექტივები ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურების საკითხებში, თუ ეს არ აუარესებს ინფორმაციის გაცვლის ხარისხს.

1.3 ბანკის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში დროებით შეაჩეროს მასთან ინფორმაციის ელექტრონულ-ტექნიკური საშუალებებით გაცვლა, რაზეც წერილობით ან ელექტრონული ფორმით დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბანკს;

1.4 აუცილებლობის შემთხვევაში მოსთხოვოს ბანკს ელექტრონული დოკუმენტის წერილობითი ფორმით წარდგენა.



1.5 იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლების სამსახური ვერ ახდენს ელექტრონული ფორმით ინფორმაციის გაგზავნას (ელექტრონული სისტემის დაზიანების, ბაზასთან დაკავშირების შეუძლებლობის ან სხვა შემთხვევაში), ინფორმაცია გააგზავნოს ელექტრონული მატარებლით (დისკეტა, დისკი და სხვა) ან წერილობითი ფორმით მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საერთო წესების დაცვით.

## 2. შემოსავლების სამსახური ვალდებულია:

2.1 სისტემაში ტექნიკური დაზიანებების წარმოშობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს (წერილობით, ელექტრონული ფოსტით) ბანკს აღნიშნულის თაობაზე და მაქსიმალურად მოკლე დროში აღმოფხვრას დაზიანება.

2.2 ბანკს გაუწიოს კონსულტაციები და რეკომენდაციები სისტემის თავისებურებებთან დაკავშირებით.

2.3 უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მოთხოვნებით ინფორმაციის დაცვა, რომელიც განეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციას და მოქმედი კანონმდებლობა ადგენს მისი დაცვის ვალდებულებას.

2.4 საჯარო ან/და დამალული გასაღებ(ებ)ის კომპრომეტირების, დაკარგვის თაობაზე ინფორმაციის მიღების შემთხვევაში შეაჩეროს ბანკთან შემდგომი ინფორმაციის გაცვლა ვითარების გამოსწორებამდე და აღნიშნული დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს. ვითარების გამოსწორებამდე ინფორმაციის გაცვლა წარმოებს მხოლოდ წერილობითი ფორმით.

2.5 დაიცვას ხელშეკრულების დანართი №1-ით (“შემოსავლების სამსახურისა და ბანკების ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი”) დადგენილი მოთხოვნები.

2.6. უზრუნველყოს ელექტრონული ხელმოწერის გასაღების საიდუმლოდ შენახვა, საჯარო ან/და დამალული გასაღებ(ებ)ის კომპრომეტირების შეტყობის მომენტიდან არ ისარგებლოს აღნიშნული გასაღებ(ებ)ით.

## მუხლი 9. ბანკის უფლებები და მოვალეობები

### 1. ბანკი უფლებამოსილია:

1.1 ინფორმაციის ელექტრონულ-ტექნოლოგიური საშუალებით გაცვლის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურს მიაწოდოს წინადადებები.

1.2 გამონაკლის შემთხვევებში, შემოსავლების სამსახურის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, შეიტანოს გარკვეული კორექტივები ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურების საკითხებში, თუ ეს მოთხოვნა არ აუარესებს ინფორმაციის გაცვლის ხარისხს.

1.3 დაუყოვნებლივ მოითხოვოს ხელმოწერის გასაღებების პასპორტის მოქმედების შეჩერება, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის დამალული გასაღების საიდუმლოების დარღვევის საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

1.4 შემოსავლების სამსახურიდან ანგარიშის განკარგვის შესახებ შესაბამისი დადასტურების მიღების შემთხვევაში შეუზღუდავად განახორციელოს შეტყობინებული ანგარიშის განკარგვა. ასევე განახორციელოს შეტყობინებული ანგარიშის განკარგვა შემოსავლების სამსახურის მხრიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში დასტურის მიუღებლობის შემთხვევაში.

1.5 იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება ელექტრონული ფორმით ინფორმაციის გაგზავნა (ელექტრონული სისტემის დაზიანების, ბაზასთან დაკავშირების შეუძლებლობის ან სხვა შემთხვევაში), ინფორმაცია დაუყოვნებლივ გააგზავნოს ელექტრონული მატარებლით (დისკეტა, დისკი და სხვა) ან წერილობითი ფორმით მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საერთო წესების დაცვით.

## 2. ბანკი ვალდებულია:

2.1 სისტემაში გამოყენებული პროგრამულ-ტექნიკური და საკომუნიკაციო საშუალებები აკმაყოფილებდეს ექსპლუატაციის პროცედურებს და სტანდარტიზაციის შესაბამის მოთხოვნებს.

2.2 დანიშნოს ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი (პირები) და უზრუნველყოს შემოსავლების სამსახურის მოთხოვნების შესრულება ინფორმაციის დაცვის თაობაზე.

2.3 უზრუნველყოს საკუთარი ელექტრონული ხელმოწერის შექმნა.

2.4 ელექტრონული ხელმოწერის გასაღებები შეინახოს საიდუმლოდ.

2.5 ელექტრონული ხელმოწერისათვის არ ისარგებლოს საჯარო და დამალული გასაღებებით, თუ მან იცის, რომ ეს გასაღებები კომპრომეტირებულია.

2.6 დაუყოვნებლივ აცნობოს წერილობით შემოსავლების სამსახურს გასაღებების დაკარგვა ან მათი კომპრომეტირება და შეწყვიტოს მათი გამოყენება.

2.7 უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მოთხოვნებით ინფორმაციის დაცვა, რომელიც განეკუთვნება საიდუმლო ინფორმაციას და მოქმედი კანონმდებლობა ადგენს მისი დაცვის ვალდებულებას.



2.8. უზრუნველყოს შედგენილი ელექტრონული დოკუმენტების შესაბამისობა რეალურ ინფორმაციასთან.

2.9 შემოსავლების სამსახურს დაუყოვნებლივ აცნობოს ოპერაციების შესრულებისას აღმოჩენილი შეცდომების შესახებ.

2.10 უზრუნველყოს მომსახურების მაღალი ხარისხი, რაც შესაძლებელს გახდის ბანკის მხრიდან ხელშეკრულების საგნის სრულფასოვან შესრულებას. სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების და სისტემებს შორის თავსებადობის უზრუნველყოფის საფუძველი უნდა იყოს ერთიანი სტანდარტები (ფორმატები, ტერმინოლოგია, ფონტები და სხვ.), რომლებმაც ერთმნიშვნელოვნად უნდა ასახონ გამოყენებული სისტემის თავისებურებები.

2.11 გადასახადის გადამხდელის (გარდა ფიზიკური პირისა) საიდენტიფიკაციო ნომრებზე, მათ შორის ანგარიშის ნომრის მითითების გარეშე გამოწერილი საინკასო დავალების არსებობისას, ავტომატურად გაავრცელოს იგი მათ ყველა საბანკო ანგარიშზე.

2.12 დაიცვას ხელშეკრულების დანართი №1-ით (“შემოსავლების სამსახურისა და ბანკების ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი”) დადგენილი მოთხოვნები.

2.13 საქართველოს საგადასახადო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის ანგარიშების გახსნის ან დახურვის შესახებ.

#### მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა


1. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესები

1. მხარეთა შორის არსებული დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთ შეთანხმებით, რაც ფორმდება ოქმით.

2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### მუხლი 12. ფორს-მაჟორი



1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი ნაკისრ ვალდებულებათა სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, დაუძლეველი ძალით, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

2. დაუძლეველ ძალაში იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა ან მათი ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ ან გადაელახათ (სტიქიური უბედურება, ამინდის ექსტრემალური პირობები, ხანძარი, საომარი მდგომარეობა, საზოგადოებრივი უწყესრიგობა და სხვა). წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწვეს ფორს-მაჟორულ გარემოებათა დასრულებამდე.

3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### მუხლი 13. ცვლილებები და დამატებები ხელშეკრულებაში

1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან დამატება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რაც უნდა წერილობით ხელშეკრულების დანართის სახით.

2. ხელშეკრულების დანართი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია, რომლის შესრულებაც მხარეებისათვის სავალდებულოა.

### მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს უვადოდ.

3. ერთი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეორე მხარის ერთკვირიანი წინასწარი გაფრთხილების ვადის დაცვით.

### მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

შემოსავლების სამსახური

ქ.თბილისი, 0105, გორგასლის ქ. №16.

გიორგი ცხაკაია

სს „საქართველოს ბანკი“

(სნ 204378869)

ქ. თბილისი, პუშკინის ქ. №3.

გიორგი ჭიჭინაძე



Handwritten signatures in blue ink at the bottom of the page.

## სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 1-...

ორიათას ცხრა წლის ექვს თებერვალს მე, პაპუნა შენგელაიას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, (სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: პეკინის ქუჩა №28) სს „საქართველოს ბანკი“-ს ადმინისტრაციულ შენობაში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქუჩა №3 მომართა ირაკლი ვილაურმა. მან განაცხადა, რომ არის სს „საქართველოს ბანკი“-ს გენერალური დირექტორი და თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან სს „საქართველოს ბანკი“-ს რეგისტრაციის შესახებ, გაცემული ქ. თბილისის მსხვილ გადასდელთა საგადასახადო ინსპექციის მიერ 2009 წლის 04 თებერვალს, რეგისტრაციის №06/5-07. ირაკლი ვილაურმა მოითხოვა რწმუნებულების შედგენა სს. „საქართველოს ბანკი“-ს გენერალური დირექტორის მოადგილის გიორგი ჭილაძის სახელზე და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე ირაკლი ვილაურის პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დაერწმუნდი, რომ მე ნამდვილად გიორგი ჭილაძემ (დაბადებული 11.05.1971 წელს ქ. თბილისში, პირადობის მოწმობის №ა0822435, პირადი №01008008277, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ეაკის სამსახურის მიერ 22.02.2006 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, ბაგები, კორპუსი №2, ბინა №56) მომართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ეადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ექვსი შეგანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შემდეგ შევადგინე რწმუნებულება, რომელიც წაუკითხე და განუცემრტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება მუსჯად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ გიორგი ჭილაძემ ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

### რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორიათას ცხრა წლის ექვს თებერვალს სს „საქართველოს ბანკი“-ს გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ვილაურმა, რომელიც შემდეგში მოსხენიებულია, როგორც „მარწმუნებელი“, სს „საქართველოს ბანკი“-ს გენერალური დირექტორის მოადგილეს გიორგი ჭილაძეს (დაბადებული 11.05.1971 წელს ქ. თბილისში, პირადობის მოწმობის №ა0822435, პირადი №01008008277, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ეაკის სამსახურის მიერ 22.02.2006 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში, ბაგები, კორპუსი №2, ბინა №56) შემდეგში „რწმუნებული“, მინიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

- ხელი მოაწეროს ბანკის სახელით დასადებ ყველა სახის გარიგებას (მათ შორის უძრავი ქონებასთან დაკავშირებული);

- ხელი მოაწეროს ბანკის სახელით სასამართლოში წარსადგენ სასარჩელო განცხადებებს, გახეც მინლობილობები პირებზე, რომლებიც დაიცავენ ბანკის ინტერესებს სხვადასხვა ინსტიტუციის სასამართლოებში და განახორციელებენ საქართველოს სსკ-ს 98-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა უფლებამოსილებას, მათ შორის: ჩაატარებენ სათანადო პროცესუალურ ქმედებებს, გაეცნობიან საქმის

მასალეს, შეიტანენ საჩივარს მიღებულ გადაწყვეტილებებზე (განჩინებებზე), წარადგენენ შესაგებელს. შეცვლიან სარჩელის საგანს, დაამთავრებენ საქმეს მორიგებით, უარს იტყვიან სარჩელზე, გაასაჩივრებენ სასამართლო გადაწყვეტილებას, გადასახდევინებლად წარადგენენ სააღსრულებო უწყველს, მიიღებენ მიკუთვნებულ ფულს და ქონებას;

- განახორციელოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის გადაწყვეტილებები, რაც დაკავშირებულია სამეწარმეთ რეესტრში ცვლილებების შეტანასთან, მათ შორის სს „საქართველოს ბანკი“-ს ფილიალების შექმნა-ლიკვიდაციის რეგისტრაციასთან;
- ხელი მოაწეროს საქართველოს ეროვნულ ბანკში წარსადგენ დოკუმენტაციას;
- განახორციელოს ბანკის ინტერესების დაცვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ორგანოებში, მარწმუნებლის სახელით ხელი მოაწეროს საგადასახადო ორგანოებში წარსადგენ ყველა სახის დოკუმენტს, შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი პროცედურა, რაც საჭირო იქნება მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებასთან.
- ასევე, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი პროცედურა, რაც საჭირო იქნება მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებასთან.

წინამდებარე რწმუნებულება გაცემულია გადანდობის უფლებით.

თანდართული დოკუმენტები:

1. სს „საქართველოს ბანკის“ წესდება და
2. ამონაწერი სამეწარმეთ რეესტრიდან სს „საქართველოს ბანკის“ რეგისტრაციის შესახებ (დამოწმებული უოგოასლი ინახება ჩემს არქივში);

რწმუნებულება ძალაშია 2010 წლის ექვს თებერვლამდე.

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს პაპუნა შენგვლიას სანოტარო არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს


მარწმუნებელი

ირაკლი ცილაური

გადახდილია საზღაური გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 5.90 ლარი თანახმად, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონისა (11 ივნისი 1998წ.) და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245 მუხლისა.

ნოტარიუსი

პაპუნა შენგვლია







საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების  
სამსახურის და ბანკების ელექტრონული ურთიერთობების  
პროტოკოლი

ვერსია 5.1.0.4

მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში

2008 წელი

## დოკუმენტის ისტორია

სახელი	თანამდებობა	თარიღი	ვერსია	კომენტარები
ანდრო გორბუშკინი	პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი	12/10/2008	1.0.0.0.	საწყისი ვერსიის შექმნა
ანდრო გორბუშკინი	პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი	02/12/2008	2.0.0.0.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	22/02/2009	3.0.0.0.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	27/02/2009	3.1.0.0.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	10/06/2009	3.2.0.0.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	12/08/2009	4.0.0.0.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	07/10/2009	5.0.0.0.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	13/10/2009	5.0.1.1.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	15/10/2009	5.0.1.2.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	27/10/2009	5.0.2.0.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	11/11/2009	5.1.0.0.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	14/11/2009	5.1.0.1.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	24/11/2009	5.1.0.2.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	30/11/2009	5.1.0.3.	განახლებული ვერსია
მზიური ბარბაქაძე	სისტემური ანალიზის სამმართველოს უფროსი	16/12/2009	5.1.0.4.	განახლებული ვერსია

# სარჩევი

დოკუმენტის შესახებ .....	4
1. ელექტრონული ურთიერთობის წინა პირობა .....	4
2. განმარტებანი.....	4
3. ბანკების და შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემების დაცვაში	
და ელექტრონული ურთიერთობის მეთაოდი .....	5
4. შეტყობინების ზუსტების და მიღების ზოგადი პროცედურა (სცენარი) .....	6
5. ავტომატიზაციას დაქვემდებარებული პროცესების აღწერა .....	7
5.1 ბანკების მიერ ანგარიშების გახსნის შესახებ შემოსავლების სამსახურში შეტყობინების	
ზუსტების და მიღების პროცედურა .....	7
5.2 შემოსავლების სამსახურის მიერ გამოგზავნილი გადასახადის გადახდებულების ანგარიშების შესახებ ინფორმაციის	
მითხოვნის და ბანკიდან ინფორმაციის მიღების პროცედურა .....	8
5.3 შემოსავლების სამსახურის მიერ ბანკში საინვასო დაფალების წარდგენის შესახებ შეტყობინების	
ზუსტების და მიღების პროცედურა .....	8
5.4 ბანკების მიერ ანგარიშების დაბრუნება და საინვასო დაფალების დაბრუნების შესახებ შემოსავლების	
სამსახურში შეტყობინების ზუსტების და მიღების პროცედურა .....	9
5.5 შემოსავლების სამსახურის მიერ ბანკში საინვასო დაფალების შეჩერების/ კორექტირების / გამოთხოვის საინვასო	
დაფალების შეჩერების მოწინის შესახებ შეტყობინების ზუსტების და მიღების პროცედურა .....	9
5.6 ბანკის მიერ შემოსავლების სამსახურში საინვასო დაფალების განაღდება შესახებ შეტყობინების	
ზუსტების და მიღების პროცედურა .....	10
5.7 ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლის შეტყობინებები .....	10
6. კლასიფიკატორები და მონაცემთა ფორმატი .....	16
7. მონაცემთა უტყუარობა .....	18
მაგალითი №1: ანალიზური ანგარიშების რეგისტრაცია .....	19
მაგალითი №2: საინვასო შეტყობინების ბანკში გაცხადება .....	23

# ამ დოკუმენტის შესახებ

ამ დოკუმენტის მიზანია:

- აღწეროს ელექტრონული ურთიერთობების ყველა პროცესი;
- აღწეროს ელექტრონული ურთიერთობების ტექნიკური მოთხოვნები;
- მიღებული და შეთანხმებული იქნას ელექტრონული ურთიერთობების ტექნიკური სტანდარტი და პროტოკოლი;
- მიღებული და შეთანხმებული იქნას ელექტრონული ურთიერთობების პირობები;

## 1. განმარტებანი

ბანკი – ის ბანკი, ვისთანაც არის გაფორმებული ხელშეკრულება ელექტრონული ურთიერთობების შესახებ, მისი მთლიანი საბანკო სისტემა ან/და შემავალი სერვისცენტრები, ფილიალები და ა.შ

საჭიროების შემთხვევა – მე-3 პირზე წარდგენილი საინკასო დავალება, ფორს-მაჟორი, ელექტრონული სისტემის დაზიანება ელექტრონული შეტყობინება – ელექტრონული საბუთი – ქალაქდური საბუთის ელექტრონული ასლი, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შორის ურთიერთობის და ოპერაციათა წარმოების საფუძველს

ელექტრონული ხელმოწერა - მონაცემთა უტყუარობის დამტკიცების საშუალება

დასტური (status report) - ბანკის და შემოსავლების სამსახურის სისტემაში ინფორმაციის (XML შეტყობინების) მხოლოდ ტექნიკურად შემოსვლის შესახებ დასტური

სამუშაო დღეები – ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით

სამუშაო საათები – 9:00 დან 18:00 საათამდე

გადასახადის გადამხდლები, გადამხდლები – ის პირები რომლებზეც, ბანკს აქვს ვალდებულება გამოგზავნოს/წარმოადგინოს ინფორმაცია ანგარიშების შესახებ

შეტყობინება – ელექტრონული შეტყობინება XML ფორმატში

## 2. ელექტრონული ურთიერთობის წინა პირობა

ელექტრონული ურთიერთობის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის უნდა განხორციელდეს შემდეგი პროცედურები:

I - სისტემაში ჩართვის პროცედურა

1. პროტოკოლის, ხელშეკრულების განხილვა, შეთანხმება
2. შემოსავლების სამსახურის სატესტო სერვერზე ბანკის დამკვეთი
  - ა. დაცული კავშირის (VPN) გამართვა სატესტო სერვისისთვის
  - ბ. სერვისის აწყობა
3. სერვისის ტესტირება (სატესტო რეჟიმში ჩართვა)
4. მონაცემთა ბაზების პირველადი სინქრონიზაცია
5. ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის შესახებ ხელშეკრულების პროტოკოლის გაფორმება
6. ბანკის რეგისტრაცია შემოსავლების სამსახურის სისტემაში

საიდენტიფიკაციო ნომერი	ბანკის კოდი	ბანკის დასახელება	საკონტაქტო პირის სახელი, გვარი	საკონტაქტო პირის ტელეფონები	ელექტრონული ხელმოწერის საჯარო ნაწილი	IP მისამართი

7. ქალაქდურ დოკუმენტს აქვს იურიდიული ძალა, ელექტრონულს არა ( მიმდინარეობს შედარება)
8. მონაცემთა ბაზების საბოლოო სინქრონიზაცია ბოლო სინქრონიზაციიდან რეალურ სერვისზე გადასვლის თარიღამდე
9. რეალური სერვისის ჩართვა ჩართვა ხელშეკრულებაში მითითებული პერიოდიდან, ორივე სახის დოკუმენტების მიმოსვლა შეთანხმებული პერიოდით.

ელექტრონულ დოკუმენტს ენიჭება იურიდიული ძალა, ქალაქური იგზავნება შედარებისთვის  
 10. რეალური სერვისი - მხოლოდ ელექტრონული დოკუმენტების მიმოსვლით

II - რეალური სერვისის ჩართვამდე შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის ერთჯერადი ელექტრონული სახით მონაცემთა გაცვლის პროცედურა – მონაცემთა ბაზების საბოლოო სინქრონიზაცია

მონაცემთა გაცვლა ხორციელდება პროტოკოლის მიხედვით, ასევე შესაძლებელია ერთჯერადად მონაცემთა გაცვლა განხორციელდეს XML, XLS XLSX (EXCEL) ან სხვა ფორმატებში ფაილის სახით ორივე მხარეთა შეთანხმებით.

1. ბანკი აწვდის ელექტრონულ მონაცემებს შემოსავლების სამსახურს:

ა. გადასახადის გადამხდელების მერ გახსნილი ანგარიშების შესახებ პროტოკოლის მიხედვით ან ხელმოწერილი XML ფაილის სახით.

ანგარიშის ნომერი	ანგარიშის ტიპი	ანგარიშის გახსნის თარიღი	ბანკის, ფილიალის/ სერვისცენტრის კოდი (არსებობის შემთხვევაში)	ვალუტის კოდი	საიდენტიფიკაციო ნომერი, პირადი ნომერი

ბ. წარდგენილი საინკასო დავალებების შესახებ XLS, XLSX (EXCEL) ფაილის სახით

ბანკის კოდი	საიდენტიფიკაციო ნომერი	პირადი ნომერი	დასახელება	ინკასოს დადების თარიღი	საინკასო დავალების ნომერი	გადასახადის სახე	თანხა

გ. შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული მოთხოვნა - საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებულ პირებზე ანგარიშის შესახებ ინფორმაცია. მიეწოდება პროტოკოლის მიხედვით ან ხელმოწერილი XML ფაილის სახით

ანგარიშის ნომერი	ანგარიშის ტიპი	ანგარიშის გახსნის თარიღი	ბანკის, ფილიალის/ სერვისცენტრის კოდი (არსებობის შემთხვევაში)	ვალუტის კოდი	საიდენტიფიკაციო ნომერი, პირადი ნომერი

2. შემოსავლების სამსახური აწვდის მონაცემებს ბანკს:

ა. საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული პირების შესახებ ინფორმაცია – მოთხოვნა XLS, XLSX (EXCEL) ფაილის სახით

საიდენტიფიკაციო ნომერი	პირადი ნომერი	დასახელება, სახელი გვარი	საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული პირების სამართლებრივი ფორმა

ბ. მოთხოვნის შემთხვევაში წარდგენილი საინკასო დავალებების შესახებ ინფორმაციას XLS, XLSX (EXCEL) ფაილის სახით

ბანკის კოდი	საიდენტიფიკაციო ნომერი	პირადი ნომერი	დასახელება	ინკასოს დადების თარიღი	საინკასო დავალების ნომერი	გადასახადის სახე	თანხა

აღნიშნული ხორციელდება შესაძლო ცდომილებების მაქსიმალურად აღმოფხვრის მიზნით. შემდგომ დაზუსტდება იმ გადამხდელთა ჩამონათვალი, რომელთა მიმართ გამოიყენება მონაცემთა გაცვლის ელექტრონული ურთიერთობა.

### 3. ბანკის და შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემების დაკავშირება და ელექტრონული ურთიერთობის მეთოდი

ბანკი შემოსავლების სამსახურთან ელექტრონული ურთიერთობის სისტემაში ჩართვის მიზნით, უნდა დარეგისტრირდეს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემაში, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ურთიერთობის სისტემაში მითითებული უნდა იქნას შემდეგი რეკვიზიტები: საიდენტიფიკაციო ნომერი, ბანკის დასახელება, საკონტაქტო პირის ტელეფონები, ელექტრონული ხელმოწერის საჯარო ნაწილი და IP მისამართი, რომელზეც და რომლიდანაც იქნება მიღებული შეტყობინებები. საკონტაქტო პირის (პირების) სისტემასთან წვდომა დაიშვება სპეციალური იდენტიფიკატორების (კოდების) მეშვეობით, რომლის განმეორება დაუშვებელია.

კავშირი შემოსავლების სამსახურის და ბანკის საინფორმაციო სისტემებს შორის იქნება უზრუნველყოფილი VPN - კავშირით.

ელექტრონული ურთიერთობა განხორციელდება პაკეტურ რეჟიმში, ეს ნიშნავს, რომ ახალი ანგარიშების, საინვასო შეტყობინებების და ამ პროტოკოლში აღწერილი პროცესების მიხედვით ელექტრონული სიები გაიზავნება განსაზღვრული პერიოდულობით, პაკეტებით (რამოდენიმე ერთად) საგადასახადო კოდქსით გათვალისწინებული ვადების დაცვით.

ელექტრონული ურთიერთობა იქნება უზრუნველყოფილი შეტყობინებების მეშვეობით XML ფორმატში. XML შეტყობინების მაქსიმალური სიგრძე არის 32000 სიმბოლო და აქვს შემდეგი სტანდარტული სახე:

```
<Signature xmlns="http://www.w3.org/2000/09/xmldsig#">
  [ელ. ხელმოწერის მონაცემები]
  <SignatureValue>sdgfsdfgdf345f=</SignatureValue>
  <Object Id="[ძირითადი მონაცემთა ბლოკის დასახელება]">
    [ძირითადი მონაცემთა ბლოკი]
  </Object>
</Signature>
```

სადაც:

ძირითად მონაცემთა ბლოკს შესაძლოა მნიშვნელობებზე ექნებათ მნიშვნელობები, რომლებიც აღწერილია შემდგომ თავებში.

ელ. ხელმოწერის მონაცემებს ექნება შემდეგი სახე:

```
<SignedInfo><CanonicalizationMethod Algorithm="http://www.w3.org/TR/2001/REC-xml-c14n-20010315" />
  <SignatureMethod Algorithm="http://www.w3.org/2000/09/xmldsig#rsa-sha1" />
  <Reference URI="#[ძირითადი მონაცემთა ბლოკის დასახელება]">
    <DigestMethod Algorithm="http://www.w3.org/2000/09/xmldsig#sha1" />
    <DigestValue>cL1hxNnQPJ]qnpk5eg2sL0D3x6I=</DigestValue>
  </Reference>
</SignedInfo>
```

შეტყობინებები XML ფორმატში, გადაიცემა SOAP web service - ით. web service აქვს ერთი ვებ მეთოდი AcceptMessage, რომლის გადასაცემი პარამეტრი და დასაბრუნებელი მნიშვნელობა განისაზღვრება „string“ ტიპით.

შემოსავლების სამსახურის ვებ სერვისს ექნება შემდეგი სახე:

```
[WebMethod]
string AcceptMessage(string Login, string Password, string XMLMessage)
```

ბანკის ვებ სერვისს ექნება შემდეგი სახე:

```
[WebMethod]
```

string AcceptMessage(string XMLMessage)

ეს მეთოდი დააბრუნებს დადასტურების (STATUS\_REPORT) შეტყობინებას.

#### 4. შეტყობინების გაგზავნის და მიღების ზოგადი პროცედურა (სცენარი)

შემოსავლების სამსახურის მიერ საბანკო დაწესებულებებში შეტყობინებების გაგზავნისას:

ა) შემოსავლების სამსახური საგადასახადო ორგანოებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე აყალიბებს გასაგზავნ შეტყობინებას და უკეთებს ელექტრონულ „ხელმოწერას“.

ბ) აღნიშნულის შემდგომ ხდება შეტყობინების გაგზავნა ბანკში.

შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემა იძახებს ბანკის მხარეს, ვებ სერვისს, აწვდის თავის შეტყობინებას და ელოდება მიღების დამადასტურებელ შეტყობინებას - ტექნიკურ დასტურს (status\_report). შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში ბრუნდება შეცდომის შესახებ შეტყობინება. თუ აღმოჩენილი შეცდომა არის შეტყობინების მთლიან მონაცემზე ბრუნდება შესაბამისი შეცდომის შეტყობინება. თუ შეცდომა აღმოჩენილია მონაცემთა ნაწილზე, შეცდომის შესახებ შეტყობინება ბრუნდება იმ ნაწილზე, რომელზეც აღმოჩენილია შეცდომა, ხოლო დანარჩენი მონაცემი ითვლება მიღებულად.

შეტყობინების მიღებაზე (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეცდომის შესახებ შეტყობინების მიღების შემდგომ ხორციელდება ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზნით. შეცდომის გასწორების შემდეგ იგზავნება ახალი გასწორებული შეტყობინება მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელზეც აღმოჩნდა შეცდომა და რომელიც გასწორდა.

ოპერაციები ბანკმა უნდა განახორციელოს შემოსავლების სამსახურის მიერ გამოგზავნილ შეტყობინებაში არსებული თანმიმდევრობით.

თუ კავშირი წყდება ამ ვებ სერვისის გამოძახება ხდება განმეორებით დასტურის მიღებამდე ან ხდება დაკავშირება ბანკის საკონტაქტო პირთან აღნიშნული ტექნიკური პრობლემის აღმოფხვრის მიზნით.

საჭიროების შემთხვევაში შემოსავლების სამსახურისა და ბანკის ურთიერთობა შესაძლებელია გაგრძელდეს წერილობითი ფორმის შეტყობინებით.

ასეთივე პრინციპი გამოიყენება, როდესაც ბანკი აგზავნის შეტყობინებას და შემოსავლების სამსახური არის მიმღები.

#### 5. ავტომატიზაციას დაქვემდებარებული პროცესების აღწერა

##### 5.1 ბანკების მიერ საბანკო ანგარიშების გახსნის შესახებ შემოსავლების სამსახურში შეტყობინების გაგზავნის და მიღების პროცედურა

თუ გადასახადის გადამხდელი ხსნის საბანკო ანგარიშ(ებ)ს ბანკში :

1. ბანკის ცენტრალური ოფისის საინფორმაციული სისტემა, ელექტრონულად აგზავნის ყველა საბანკო ანგარიშების მონაცემებს შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემაში.
2. შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემა მიღებისთანავე ადასტურებს ყოველი ინფორმაციის შესახებ ტექნიკურად მიღებას (status\_report).
3. შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემა საგადასახადო ელექტრონულ ბაზებში ავტომატურად ასახავს ინფორმაციას ამ ანგარიშების გახსნის შესახებ.
4. თუ შემოსავლების სამსახურის მიერ დადგენილი იქნება, რომ ახლად გახსნილი ანგარიში ამ ბანკში პირველია, მაშინ შემოსავლების სამსახური ელოდება იმ საგადასახადო ორგანოებიდან ინფორმაციის მიღებას, სადაც არიან დარეგისტრირებული ეს გადამხდელები. საგადასახადო ორგანოები შემოსავლების სამსახურს უგზავნიან შემდეგი სახის შეტყობინებას:
  - დასტურს საბანკო ანგარიშის გამოყენების შესახებ; (თუ გადამხდელს არ აქვს დავალიანება ან მიზანშეწონილი არ არის გადამხდელის ანგარიშზე საინკასო დავალებების წარდგენა)

- საინკასო დავალებას; (თუ გადამხდელს აქვს დავალიანება და მიღებულ იქნება გადაწყვეტილება საინკასო დავალების წარდგენის შესახებ)
5. თუ ახლად გახსნილი საბანკო ანგარიში პირველი არ არის, მაშინ შემოსავლების სამსახურის სერვერზე ავტომატიურად იქმნება მეორადი საბანკო ანგარიშის დასტურის შეტყობინება, რომელსაც შემოსავლების სამსახური აგზავნის ბანკში. დასტური ყოველ მომდევნო ახლად გახსნილი საბანკო ანგარიშის გამოყენებაზე იგზავნება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც უკვე გაგზავნილი და მიღებულია დასტური პირველი საბანკო ანგარიშის გამოყენებაზე.
  6. თუ მანამდე ბანკს ამავე გადამხდელზე მიღებული ჰქონდა საინკასო დავალება ან ყადაღა, მაშინ იგი ახლად გახსნილ საბანკო ანგარიშზეც ავტომატიურად ვრცელდება.
  7. შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემა საგადასახადო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში ასახავს ინფორმაციას ამ ანგარიშების გახსნის შესახებ.
  8. შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემა გაგზავნის პერიოდისათვის საგადასახადო ორგანოებიდან მიღებულ შეტყობინებებს უგზავნის ბანკის საინფორმაციო სისტემას.
  9. თუ საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ საბანკო დაწესებულებებიდან შეტყობინება შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემაში შემოდის სამუშაო დღის 15:00 საათამდე, ამ შემთხვევაში პირველი ანგარიშის გახსნისას შემოსავლების სამსახურის მიერ პასუხი იგზავნება სამუშაო დღის ბოლომდე 18:00 საათამდე, ხოლო პირველი ანგარიშის დადასტურების შემდეგ შემოსულ სხვა ანგარიშებზე შემოსავლების სამსახურის მიერ დასტური იგზავნება ავტომატიურად კავშირის გამართული მუშაობის შემთხვევაში და ამ დასტურის მიღების შემდეგ ბანკი შეუფერხებლად ახორციელებს გასავლის ოპერაციებს კლიენტის საბანკო ანგარიშებიდან.
  10. თუ საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ საბანკო დაწესებულებებიდან შეტყობინება შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემაში შემოდის სამუშაო დღის 3 საათის შემდგომ ან შემოსავლების სამსახურისათვის არასამუშაო დღეებში/საათებში, ამ შემთხვევაში პირველი ანგარიშის გახსნისას შემოსავლების სამსახურის მიერ პასუხი იგზავნება მომდევნო სამუშაო დღის 12 საათამდე, ხოლო პირველი საბანკო ანგარიშის დადასტურების შემდეგ შემოსულ სხვა ანგარიშებზე შემოსავლების სამსახურის მიერ დასტური იგზავნება ავტომატიურად კავშირის გამართული მუშაობის შემთხვევაში და ამ დასტურის მიღების შემდეგ ბანკი შეუფერხებლად ახორციელებს გასავლის ოპერაციებს კლიენტის საბანკო ანგარიშებიდან.
  11. ბანკის საინფორმაციო სისტემა ადასტურებს ყოველი ინფორმაციის ტექნიკურად მიღებას (status\_report). (მიღების დაუდასტურებლობის შემთხვევაში გამოიყენება ზოგადი პროცედურა).
  12. თუ ბანკმა საბანკო ანგარიშის ნომერი გამოგზავნა შეცდომით, იგი აგზავნის ამ ანგარიშზე დახურვის შესახებ ინფორმაციას შეცდომის - erroraccount ანგარიშის ტიპში მითითებით.

**5.2 შემოსავლების სამსახურის მიერ გამოგზავნილი გადასახადის გადამხდელების საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის და ბანკიდან ინფორმაციის მიღების**

**პროცედურა**

1. შემოსავლების სამსახური:
  - 1.1 სისტემა ავტომატიურად ადგენს საგადასახადო ორგანოში ახლად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეებს და გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს და ავტომატიურად აყალიბებს ბანკში გასაგზავნ მოთხოვნას ყველა არსებული საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე.
  - 1.2 აყალიბებს საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული პირების ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნას ყველა არსებული ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე.
2. შემოსავლების სამსახურის მიერ გამოგზავნილი ანგარიშების შესახებ მოთხოვნის შემდეგ ბანკი აგზავნის ინფორმაციას საბანკო ანგარიშების შესახებ იმ მომენტისთვის არსებული მგომარეობის მიხედვით საბანკო ანგარიშების გახსნა დახურვის ფორმატით არაუგვიანეს 1 საათის განმავლობაში. ბანკი აგზავნის შემოსავლების სამსახურის მიერ მოთხოვნილ პირზე მხოლოდ იმ ანგარიშების გახსნის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მანამდე არ გამოუგზავნია ელექტრონულად.

მოთხოვნის დროს იგზავნება მანამდე გამოგზავნილი ანგარიშების დახურვის შესახებ ინფორმაცია, რომლებიც მოთხოვნის დროისთვის დახურულია.

3. თუ მოთხოვნილი პირი ან პირზე საბანკო ანგარიშები ამ ბანკში არ მოიძებნა ბანკი აგზავნის ტექნიკურ პასუხს შესაბამისი შეცდომის მითითებით, ხოლო შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო სისტემაში თუ პირზე ფიქსირდება ამ ბანკში გახსნილი ანგარიშ(ებ)ი ისინი ავტომატურად ჩაითვლება და აისახება სისტემაში დახურულად და თუ არ ფიქსირდება მითითება შესაბამისი შეცდომის კოდი.

### 5.3 შემოსავლების სამსახურის მიერ ბანკში საინკასო დავალების წარდგენის შესახებ შეტყობინების გაგზავნის და მიღების პროცედურა

1. საგადასახადო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას დავალიანების მქონე გადამხდელის საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალებ(ებ)ის გაგზავნის შესახებ და იწყებს შესაბამის პროცესს. შეტყობინებები საინკასო დავალებების წარდგენის შესახებ იგზავნება ელექტრონულად, გადამხდელის საინდეტიფიკაციო ნომრის მითითებით. საჭიროების შემთხვევებში შესაძლებელია გაიგზავნოს წერილობითი ფორმითაც.
2. შემოსავლების სამსახური ელექტრონულად უგზავნის შეტყობინებას საინკასო დავალებ(ებ)ის შესახებ ბანკის ცენტრალურ საინფორმაციო სისტემას. ბანკის ცენტრალური საინფორმაციო სისტემა დაუყოვნებლივ ადასტურებს ყოველი შეტყობინების მიღებას (status report). ). ბანკისთვის სავალდებულოდ შესასრულებელია (მალაში შედის შესასრულებლად) ინკასო მისი მიღების ტექნიკურად დადასტურებიდან ერთ საათიანი ვადის გასვლისთანავე.
